

ლევ მესტოვი

უსაფუძვლობის აკოთეორი

(ადოგმატური აზროვნების მსდელობა)

ქართული თარგმანი ეკუთვნის
დიმიტრი უჩანეიშვილს

გამომცემლობა „აქტი“
თბილისი / 2024

ლევ შესტოვის მთავარი ნაწარმოები, შერაცხული მის მანიფესტად, რომელიც აფორიზმული ფორმით აკრიტიკებს და სატირულ ჭრილში ხატავს ადამიანთა ფუნდამენტურ მიდგომას ცხოვრების მიმართ, წარმოადგენს ადრეული ეგზისტენციალიზმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაშრომს.

წიგნი გახლავთ ავტორის მთავარი ნაშრომი მის მეორე წიგნთან – „ათენი და იერუსალიმი“ – ერთად.

თარგმანი შესრულებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით:

Шестов Лев Исаакович, «Апофеоз беспочвенности»

Рипол-Классик, 2020 г.

978-5-386-10542-6

მთარგმნელი: დიმიტრი უჩანეიშვილი

კორექტორი: ეკატერინე კვიციანი

გამომცემელი: გიზო ცაცუა

მეორე გამოცემა, 2024

გამომცემლობა „აქტი“, 2024

ვებ-გვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-6658-6

სარჩევი

მთარგმნელის წინასიტყვაობა.....	4
ლუკა ბაკურაძე: „უსაფუძვლობის აპოთეოზი“.....	8

უსაფუძვლობის აპოთეოზი

(ადოგმატური აზროვნების მცდელობა)

წინასიტყვაობა.....	37
ნაწილი პირველი.....	54
ნაწილი მეორე.....	138

მთარგმნელის წინასიტყვაობა

ლევ შესტოვი (იეჭუდა ლეიბ შვარცმანი, 1866-1938) რუსული ფილოსოფიის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო წარმომადგენელია. მისი ფილოსოფია არ ჯდება არცერთი იმ მიმართულების ჩარჩოებში, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში იყო პოპულარული რუსეთში. შესტოვმა შექმნა ფილოსოფიის საკუთარი უნიკალური სტილი – ამა თუ იმ მწერლის ან მოაზროვნის ლიტერატურული (ან ისტორიულ-ფილოსოფიური) კვლევისა და ამ ყველაფერზე შეხედულებების რთული კომბინაცია, რომლებიც ხშირად გადახრილია ორიგინალური თემიდან და ზოგჯერ პარადოქსული ფორმითაა შემოსილი. შესტოვს არ შეუქმნია იდეების თანმიმდევრული სისტემა – ის სისტემატიზების პრინციპული მოწინააღმდეგე იყო, თვლიდა, რომ თანმიმდევრულობა და ლოგიკური სისრულე კლავს აზრს. შესტოვის ფილოსოფიური შეხედულებების არსს ასახავს ის სიტყვები, რომლებიც მან ნ. ა. ბერდიაევისთვის გაგზავნილ წერილში თქვა: „არაფერს მოაქვს მსოფლიოსთვის იმდენი მტრობა, უსასტიკესი მტრობა, როგორც ერთიანობის იდეას“.

ლევ შესტოვი დაიბადა კიევში, მდიდარი მეწარმის ოჯახში. სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტში მათემატიკას, შემდეგ კი იურისპრუდენციას კიევში. დისერტაცია „რუსეთში მუშათა კლასის მდგომარეობის შესახებ“ ცენზურამ უარყო.

რამდენიმე წლის განმავლობაში შესტოვი კიევში ცხოვრობდა, სადაც მამის ქარხანაში მუშაობდა, ამავე დროს ინტენსიურად სწავ-

ვლობდა ლიტერატურასა და ფილოსოფიას, თუმცა ბიზნესისა და ფილოსოფიის შერწყმა ადვილი არ იყო. 1895 წელს შესტოვი მიძი-მედ დაავადდა (ნერვული აშლილობა), შემდეგ წელს კი სამკურნა-ლოდ გაემგზავრა საზღვარგარეთ. მომავალში, მამის კომერციული საწარმო მოაზროვნის ერთგვარ ოჯახურ წყევლადაც იქცევა: იგი რამდენჯერმე იძულებული გახდება დაშორდეს ოჯახს, მეგობრებს, საყვარელ საქმეს და საჩქაროდ დაბრუნდეს კიევში, რათა მოხუცი მამისა და უყურადღებო უმცროსი ძმების მიერ არეული საქმეები დაალაგოს კომპანიაში.

1896 წელს შესტოვი რომში დაქორწინდა მართლმადიდებელ რუს გოგონა ანა ელეაზაროვნა ბერეზოვსკაიაზე. ვინაიდან შესტო-ვის მამა მართლმადიდებელი ებრაელი იყო, მოაზროვნე იძულებ-ბული გახდა ეს ქორწინება მრავალი წლის განმავლობაში საიდუმ-ლოდ შეენახა, ატარებდა რა დროის უმეტეს ნაწილს უცხოეთში. შესაძლოა მამის რელიგიური შეუწყნარებლობის მიუღებლობა იქცა გარკვეულწილად შესტოვის ფილოსოფიური ადოგმატიზმის საწყის წერტილად.

1898 წელს გამოქვეყნდა შესტოვის პირველი წიგნი, „შექსპირი და მისი კრიტიკოსი ბრანდესი“, რომელშიც უკვე იყო ასახული პრობლემები, რომლებიც მოგვიანებით ფუნდამენტური გახდა ფი-ლოსოფოსის შემოქმედებისთვის: შეზღუდულობა და სამეცნიერო შემეცნების უკმარობა, როგორც სამყაროში პიროვნების „ორიე-ნტირების“ საშუალება; ზოგადი იდეების, სისტემების, მსოფლმ-ხედველობების უნდობლობა, რომლებიც ფარდას აფარებს რეა-ლობას მთელი მისი სილამაზითა და მრავალფეროვნებით; წინა პლანზე კონკრეტული ადამიანის ცხოვრების წამოწევა მისი ტრა-გიზმით; „ნორმატიული“, ფორმალური, სავალდებულო მორალის, უნივერსალური, „მარადიული“ მორალური მნებობრივი ნორმების უარყოფა.

ამ ნაწარმოების შემდეგ გამოჩნდა წიგნებისა და სტატიების მთელი რიგი, რომლებიც ეძღვნებოდა რუსი მწერლების ნაწარმო-ებების ფილოსოფიური შინაარსის ანალიზს, რომელთა შორის

ლუკა ბაკურაძე: „უსაფუძვლობის აპოთეოზი“

ლევ შესტოვი, იგივე იეჰუდა ლეიბ შვარცმანი, დაიბადა 1866 წლის 12 თებერვალს კიევში, ებრაულ ოჯახში. ახალგაზრდობაში ის მათემატიკასა და სამართალს სწავლობდა უნივერსიტეტში, თუმცა სამართლის დოქტორი ვერ გახდა, რადგან მისი ამრები რევოლუციურად და მიუღებლად აღიქმებოდა აკადემიური სასწავლებლისთვის. მისთვის საუნივერსიტეტო ცხოვრება არც ისე წარმატებული გამოდგა, რადგან ხშირი უთანხმოებების გამო უწევდა ხოლმე სასწავლებლების შეცვლა. 1898 წელს შესტოვი გახდა წევრი რუს ინტელექტუალთა წრის, რომელშიც შედიოდნენ: სეგეი დიაგილევი, ვასილ როზანოვი, დიმიტრი მერეჟკოვსკი და ნიკოლაი ბერდიაევი. ზემოთ ხსენებული ინტელექტუალთა წრე ძირითადად ფილოსოფიური ხასიათის სტატიებზე მუშაობდა ჟურნალისთვის, რომელშიც შესტოვის ნაწერებიც იბეჭდებოდა. მისი საკვლევი თემები იმ დროისთვის ნიცშესა და ტოლსტოის შემოქმედების შესწავლასა და ინტერპრეტაციას მოიცავდა.

რუსი მოამროვნის ცხოვრება განაპირობებდა მის ინტერესს სხვადასხვა ფილოსოფოსის მიმართ. რა თქმა უნდა, ის თავიდანვე დაინტერესებული იყო ტოლსტოით, ჩეხოვით, დოსტოევსკითა და ნიცშეთი, თუმცა მრავალ ქვეყანაში ცხოვრებამ და მოგზაურობამ გააცნო ახალი ფილოსოფოსების შემოქმედება, როგორც არის,

მაგალითად, სიორენ კირკეგორი. დანიელი მოაზროვნის შესწავლამ ინსპირაცია მისცა ახალი ნაწარმოებების დასაწერად, რაც ქრისტიანული ეგზისტენციალიზმის კლასიკად ითვლება. ამ ორი ადამიანის მოსაზრებები რიგ საკითხებში ერთმანეთს ემთხვევა, მაგალითად მათი ირაციონალისტური და ანტი-იდეალისტური მოძღვრებები, თითქოს იდენტურია, თუმცა, რა თქმა უნდა, მათშიც არის საპირისპირო კონტექსტები, რაზეც არაერთ წიგნში აკეთებს აქცენტს რუსი ფილოსოფოსი. კირკეგორამდე მისასვლელად, შეიძლება ითქვას, რომ ედმუნდ ჰუსერლის გაცნობა დაეხმარა შესტოვს. მას „ფენომენოლოგიის“ ავტორთან ახლო მეგობრობა ჩამოუყალიბდა და მიუხედავად მათი ფილოსოფიური მიმდინარეობების ფუნდამენტური განსხვავებებისა, ისინი მაინც პატივს სცემდნენ ერთმანეთს.

რუსი ფილოსოფოსი ძირითადად ევროპის ქვეყნებში ცხოვრობდა, როცა რუსეთს ტოვებდა ხოლმე. მისი ემიგრაციის მიზეზი საბოლოოდ კომუნისტურ ხელისუფლებასთან შეუგუებლობა გამოდგა. 1917 წლიდან, როცა ბოლშევიკები მოვიდნენ რუსეთის ხელისუფლებაში, მას მუდმივად აიძულებდნენ მარქსისტული ტექსტები და კონცეფციები დაერთო საკუთარი წიგნებისთვის, რაზეც, ბუნებრივია, უარყოფითი რეაქცია ჰქონდა. ზოგადად მისი ფილოსოფიური მოძღვრება ირაციონალისტური და ანტი-უნივერსალისტურია, თუმცა ღმერთის ცნება უდიდეს როლს თამაშობს მოძღვრებაში. მოცემული შეხედულებების თანახმად, ღმერთთან წვდომა ადამიანს ირაციონალური – შეგრძნების საფუძვლით შეუძლია და არა გონებრივი ან სხვა სახის მატერიალური უნარ-ჩვევებით. აქ იკითხება კირკეგორისა და შესტოვის მსგავსებაც ღმერთის ცნებასთან მიმართებაში.

1921 წელს საბჭოთა კავშირით უკმაყოფილების გამო ლევ შესტოვი გადასახლდა საფრანგეთში. ევროპაში გადასვლამ ხელი შეუწყო უკეთ შეესწავლა დასავლური ფილოსოფია და კულტურა. პარიზის უნივერსიტეტში, იმავე სორბონის უნივერსიტეტში დაიწყო ლექციების კითხვაც და მალევე იქცა საფრანგეთის ერთ-ერთ

ცნობილ მოაზროვნედ. შეიძლება ითქვას, რომ ის ერთ-ერთი პირველი რუსი მოაზროვნეა, რომელიც ევროპამ გაიცნო.

ლევ შესტოვი 1938 წლის 19 ნოემბერს გარდაიცვალა პარიზში. სიცოცხლის ბოლო პერიოდში გატაცებული იყო ინდური ფილოსოფიითა და ედმუნდ ჰუსერლის შემოქმედებით. მან უდიდესი გავლენა მოახდინა ისეთ მოაზროვნეებზე, როგორებიც არიან: ნიკოლაი ბერდიაევი, სერგეი ბულგაკოვი, ლეო შტრაუსი, დევიდ ჰერბერტ ლოურენსი¹, ალბერ კამიუ და ემილ ჩორანი.

ლევ შესტოვის მოსაზრებების ზოგადი მიმოხილვა

როგორც უკვე ვთქვით, ლევ შესტოვი ერთ-ერთი პირველი რუსი ფილოსოფოსი იყო, რომელმაც ევროპაში სახელი გაითქვა და პოპულარული გახდა.

„უსაფუძვლობის აპოთეოზი“ – ცალკე წიგნად აქამდე არ გამოცემულა. ეს ნაწარმოები შესტოვის სხვა წიგნებისგან არა მხოლოდ თემატიკითა და შინაარსით, არამედ სტრუქტურითაც განსხვავდება. მასალა ფრაგმენტული და აფორიზმებით შემდგარი შინაარსებისგან შედგება. ამის მთავარი განმაპირობებელი მიზეზი და ამოსავალი წერტილი არის შეხედულება – აზრს ვნებს მთლიანობა; ერთიანობის იდეა პირველი მტერია თავისუფალი აზროვნებისა და ობიექტური მსჯელობის მცდელობის.

ჩვენი მიზანია საფუძველს მოკლებული და გაფანტული აზრების მთლიანობაში შეკვრა, რათა შევძლოთ ზოგადი მსჯელობა და განხილვა მთავარი კონტექსტების, მიუხედავად იმისა, რომ ავტორს ეს მოსაზრება ძალიან არ მოეწონებოდა. მკითხველისთვის აუცილებელია წიგნის წაკითხვა მთლიანად, რათა შეძლოს იმ უსაფუძვლობის ემპირიულად აღქმა, რასაც შესტოვი გვთავაზობს.

1. დევიდ ჰერბერტ ლოურენსი (1885-1930) – ინგლისელი მწერალი. ქართულად იხ. დ. ჰ. ლოურენსის წიგნები: 1. „ფსიქოანალიზი და არაცნობიერი“, 2. „ფანტაზია არაცნობიერის თემაზე“, გამომცემლობა „აქტი“, 2022 წ.

ლევ ზესტორვი

უსაფუძვლობის აკოთეორი

წინასიტყვაობა

|

ექვი არ არის, თავი უნდა ვიმართლო, მაგრამ საკითხავია, საიდან დავიწყო: წინამდებარე ნაშრომის ფორმისა თუ შინაარსის გამართლებიდან. გადმოცემის აფორიზმული ფორმა დასავლეთში ფრიად გავრცელებული მოვლენაა. ჩვენთან საკითხი სხვაგვარად დგას. ჩვენთან მიიჩნევენ, რომ წიგნი უნდა წარმოადგენდეს აზრთა თანმიმდევრულად განვითარებულ სისტემას, რომელსაც საერთო იდეა აერთიანებს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ ამართლებს საკუთარ დანიშნულებას... სწორედაც, წიგნს რომ სხვა დანიშნულება არ ჰქონდეს, აფორიზმი ამით სამუდამოდ გამტყუნდებოდა. დაცალკევებული, ერთმანეთთან დაუკავშირებელი აზრები საუკეთესო შემთხვევაში შესაძლოა განხილული ყოფილიყო როგორც ნედლი მასალა, რომელიც გარკვეულ ღირებულებას შესაბამისი დამუშავების შემდეგ შეიძენს. მაგრამ თანმიმდევრულობისადმი უნდობლობისა და ყველა სახის ზოგადი იდეების ვარგისიანობისადმი ეჭვის ზრდასთან ერთად ხომ არ უნდა ეწვიოს ადამიანს მი-

ზღი გადმოცემის იმ ფორმის მიმართ, რომელიც ყველაზე მეტად არის მორგებული არსებულ ცრურწმენებს? ამას გამოცდილებიდან გამომდინარე ვამბობ. წინამდებარე ნაშრომისთვის ყველაზე ნაკლებად იმ ფორმის მინიჭებას ვაპირებდი, რომელიც მას ახლა აქვს მიღებული. ჩემში უკვე გარკვეულწილად ფეხი მოიკიდა თანმიმდევრული და სისტემატური თხრობის ჩვევამ და მე წერას შევეუდექი, შუამდეც კი მივედი დაახლოებით იმავე გეგმის მიხედვით, რომლითაც სხვა თხზულებებს ვქმნიდი. მაგრამ რაც უფრო წინ მიიწევდა საქმე, მით უფრო აუტანელი ხდებოდა ჩემთვის მუშაობის გაგრძელება. ერთხანს თავადაც ვერ ვხვდებოდი, რაში იყო საქმე. მასალა კარგა ხნის წინ იყო მზად, შესაძლოა რჩებოდა მხოლოდ გარეგნულად წესრიგში მოყვანა, მაგრამ ის, რაც მე გარეგან სამუშაოდ მიმაჩნდა, გაცილებით უფრო ღრმა და სერიოზული საქმე ყოფილა. გაოცებულმა შევნიშნე, რომ საბოლოოდ „იდეასა“ და „თანმიმდევრულობას“ მსხვერპლად ეწირებოდა ის, რაც ყველაზე მეტად არის გასაფრთხილებელი ლიტერატურულ შემოქმედებაში – თავისუფალი აზრი. ზოგჯერ შეუძინეველი, უმნიშვნელო გარემოება, მაგალითად, ამა თუ იმ იდეისთვის განკუთვნილი ადგილი ან შემთხვევითი მეზობლობა მას გარკვეულობისა და განსაზღვრულობის არასასურველ ელფერს ანიჭებდა, რისი უფლება არ მქონდა და რაც ყველაზე ნაკლებად მსურდა. ხოლო ყველა „იმიტომ, რომ“, დასკვნითი „მაშასადამე“ და უბრალო „და“ და სხვა უწყინარი კავშირები, რომელთა მეშვეობით დამოუკიდებლად გენერირებული ფიქრები ნააზრევის „მწყობრ“ ჯაჭვად იკვრება, ღმერთო, რა უღმობელი ტირანები ყოფილან?! მე მივხვდი, რომ ასე წერა – ჩემთვის მაინც – შეუძლებელია. ჩემი, როგორც მკითხველის, ყველა მოგონება მკარნახობდა, რომ ყველაზე მძიმე და რთული საქმე წიგნში იყო საერთო იდეა. იგი ყველა გზით უნდა განდევნო, თუ არ გსურს, რომ მის მოხარკედ და უტყვ მონად იქცე. მანამ კი, სანამ დაცულია თხრობის მიღებული ფორმა, იდეა არა მარტო იბატონებს, არამედ წიგნის მთელ შინაარსს დათრგუნავს.

ნაწილი პირველი

Zu fragmentarisch ist Welt und Leben.

H. Heine¹

1.

ცხოვრების გარეუბნის ქუჩები ისეთ პირობებს არ გვთავაზობს, როგორსაც ქალაქის ცენტრის მაცხოვრებელია მიჩვეული. არ არის ელექტრო და გაზის განათება, ნავთის ფანრებიც კი არ არის, არც ქვაფენილია და მგზავრს ალაღბედზე უწევს სიარული და სიბნელეში გზის გაგნება. თუ ცეცხლი გჭირდება, მეხს უნდა დაელოდო ან თავად გააჩინო ნაპერწკალი იმ პირველყოფილი საშუალებით, რომლითაც ჩვენი შორეული წინაპრები სარგებლობდნენ: ქვის ქვაზე დაკვრით. უეცარი შუქისას სიბნელიდან უცნობ ადგილთა მოხაზულობა გამოჩნდება: რასაც წამის განმავლობაში დაინახავთ, შეეცადეთ დაიმახსოვროთ, მიუხედავად იმისა, ადეკვატური იყო თუ არა თქვენი შთაბეჭდილება. შუქის მეორედ მოპოვება მალე არ მოხდება – დიდი-დიდი კედელს დაე-

1. სამყარო და არსებობა მეტისმეტად ფრაგმენტულია – ჰ. ჰაინე (გერმ.).

ჯახოთ თავით და ნაპერწკლები თვალებიდან გაგცვივდეთ. ასეთი განათებისას რას დაინახავთ? ან როგორ შეიძლება მსჯელობის სიცხადე მოვთხოვოთ ადამიანს, რომელიც ცოდნისმოყვარეობამ (ჩავთვალთ, რომ ცოდნისმოყვარეობა ჩვენში გვარიანად არის ფესვგადგმული) აიძულა ცხოვრების კიდევ ეხეთილა? ან როგორ შეიძლება მათი საქმეები ცენტრების მაცხოვრებელთა საქმეებს გავუტოლოთ?

2.

ბუნების მოვლენათა კანონზომიერება რალაც იმდენად გასაგებად, თავისთავად ნაგულისხმევად ითვლება, რომ მისი ფესვების ძიებას არა ცხოვრების რეალურ სინამდვილეში, არამედ ჩვენი გონების ხასიათში ცდილობენ. რეალურად კი ბუნების მოვლენათა კანონზომიერება ყველაზე ამოუცნობი რამ არის იქიდან, რასაც ჩვენ ცხოვრებაში ვხვდებით. საიდან მოდის წესრიგი? რატომ წესრიგი და არა ქაოსი და უწესრიგობა? კანონზომიერების ჰიპოთეზას რომ ამდენი პრაქტიკული სარგებელი არ ახლდეს თან, ადამიანები არასოდეს ცდუნდებოდნენ იგი მარადი და უცილობელი ჭეშმარიტების რანგში აეყვანათ. თუმცა მას უნდა ვუმაღლოდეთ, რომ შესაძლებელი გახდა წინასწარმეტყველება *savoir pour prévoir*², მასთან ერთად კი ბატონობა ბუნებაზე, ხოლო ფილოსოფოსები, რომლებიც მუდამ მუხლს იყრიდნენ წარმატების წინაშე, ერთმანეთს ასწრებდნენ მისადმი ლაციცს და პირველ რიგში ის უმაღლესი წოდება მიანიჭეს მას, რომელიც გააჩნდათ – წოდება უზენაესი ჭეშმარიტებისა. მაგრამ ჩათვალეს, რომ ესეც არ იყო საკმარისი: *l'appétit vient en mangeant*³. როგორც დედაბერმა ოქროს თევზის ზღაპრიდან, მიზეზობრიობამ ისურვა, რომ თავად თევზი ყოფილიყო შიკრიკი... ეს კი ვილაცამ ველარ აიტანა, მაგრამ მხოლოდ ვილაცამ...

2. იციან, რათა იწინასწარმეტყველონ (ფრ.).

3. მადა ჭამაში მოდის (ფრ.).